განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

საბანკო საქმე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 2018 წლის 4 ოქტომბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2019 წლის 8 იანვარი

თბილისი
2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | **204555524** |
| დაწესებულების სახე | სასწავლო  უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | საბანკო საქმე |
| განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბანკო საქმეში 020401 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული  საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება  15.10.2013, №153 |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გოჩა თუთბერიძე, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თეა კასრაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ბექა მარუაშვილი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | დავით ცირამუა, ილიას უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2012 წლიდან. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 120 ECST კრედიტის დაგროვებას. ერთი სასწავლო წელი შედგება ორი, შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან, მოიცავს 38 სასწავლო და სასესიო კვირას, 4 კვირას დამატებითი გამოცდებისათვის (2 კვირა თითოეულ სემესტრში). საგანმანათლებლო პროგრამა ორწლიანია; სემესტრის განმავლობაში მაგისტრანტმა სასურველია დაძლიოს საშუალოდ 30 კრედიტი, ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი, თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა. საბანკო საქმის სამაგისტრო სპეციალობის საბაზისო კურსების მოდული ითვალისწინებს 24 კრედიტს, მათგან სავალდებულოა 12 კრედიტი, არჩევითია 13. ხოლო სპეციალობის სასწავლო მოდული ითვალისწინებს 54 კრედიტს, მათგან სავალდებულოა 36კრედიტი, კვლევითი მოდული 30 კრედიტია. თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადასატანად სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს პროფესიულ პრაქტიკას. სტუდენტები პრაქტიკას გადიან საბანკო, მიკროსაფინანსო, აუდიტორულ კომპანიებში და სხვა სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებიც მოქმედებენ საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. პროფესიული პრაქტიკის მოცულობაა 12 კრედიტი და შეიძლება განხორციელდეს იმ ორგანიზაციებში, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ან იმ სტრუქტურებში, რომლებიც ოფიციალურად ადასტურებენ კონკრეტულ მაგისტრანტზე პრაქტიკის გავლისათვის მზადყოფნას. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს საგანამანათლებლო პროგრამის შემადგენელ სამეცნიერო-კვლევით კომპონენეტს, რომელიც უნდა შეასრულოს სტუდენტმა სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში და დაიცვას სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის ღია სხდომაზე. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობაა მინიმუმ 50 გვერდი. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია სწავლის პროცესში მიღებული დარგობრივი ცოდნის სისტემატიზაცია, კვლევითი, პრაქტიკული, შემოქმედებითი უნარების გამოვლენა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 4 ოქტომბერს თბილსში არსებულ მისამართზე: სამღერეთის ქ. 5. ვიზიტამდე წინა დღეს 3 ოქტომბერს შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (გოჩა თუთბერიძე, თეა კასრაძე, ბექა მარუაშვილი) 14 საათიდან და 18 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა მომდევნო დღეებში ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
4 ოქტომბერს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 9:00 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (რექტორი, რექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი, გთუნის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების ხელმძღვანელი, გთუნის იურიდიული სამსახურის უფროსი, გთუნის ინფორმატიკის კათედრის ხელმძღვანელი), თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება.
სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებო პროგრამა შესაბამისობაშია IV, V და III სტანდარტებთან, მეტწილად შესაბამისობაშია I სტანდარტთან და ნაწილობრივ შესაბამისობაშია II სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**

  - პროგრამის მიზნების რეალიზაციისათვის აუცილებელია დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზაცია ან ისეთი მარკეტინგული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც გაზრდის სასწავლებლის ცნობადობას და გამოიწვევს სტუდენტთა კონტინგეტის გაზრდას;
  - პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ბიზნესისა და მენეჯმენტის ფართო, ანალიტიკური და ინტეგრირებული სწავლება. კურსდამთავრებულებმა უნდა შეძლონ რელევანტური ცოდნის და გაგების დემონსტრირება ზოგადად ორგანიზაციების (არა მხოლოდ ბანკების), გარე გარემოს, რომელშიც ფუნქციონირებენ ეს ორგანიზაციები და იმის შესახებ, თუ როგორ იმართებიან (მენეჯმენტი) ეს ორგანიზაციები;

  - საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების მისაღწევად აუცილებელია პროგრამის სტრუქტურაში (სავალდებულო და აჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტებში) განხორციელდეს ცვლილებები:

    - მონეტარული პოლიტიკა და საბანკო საქმის სამართლებრივი რეგულირება სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებიდან გადატანილი უნდა იქნას სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებში
    - მენეჯერული ეკონომიკა სპეციალობის საბაზისო არჩევითი კურსების კომპონენტიდან გადავიდეს სპეციალობის საბაზისო სავალდებულო კურსების კომპონენტში
    - საერთაშორისო საფინანსო და ეკონომიკური ორგანიზაციები სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტიდან გადავიდეს სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსების კომპონენტში
    - სასწავლო კურსის „ფინანსური რისკები და სადაზღვევი ბაზარი“ ნაცვლად უნდა მოხდეს ფინანსური რისკების მართვის სწავლება, სადაც აქცენტი გაკეთებული იქნება საბანკო-საკრედიტო რისკების მართვაზე
    - პროგრამის სავალდებულო სასეწავლო კურსებს უნდა დაემატოს სასწავლო კურსი „პერსონალის სტრატეგიული მართვა“;
  - უსდ-მ უზრუნველყოს სამაგისტრო ნაშრომების ისეთი თემატიკის შერჩევა, რომელიც სრულ თანხვედრაში იქნება პროგრამის ფარგლებში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;
  - სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები საჭიროებს გადახედვას: „საბაკო-სავალუტო ოპერაციები“ დაშვების წინაპირობა უნდა იყოს „საბანკო საქმე“ და არა „გლობალური ბიზნესი“. სამაგისტრო ნაშრომის მომზადება/დაცვას პროგრამაში წინაპირობა არ აქვს

მითითებული, სილაბუსით კი დაშვების წინაპირობას „საბანკო საქმე“ წარმოადგენს, თუმცა ასევე უნდა იყოს წინაპირობად მითითებული „ბიზნესის კვლევს მეთოდები“;

- უსდ-მ მოახდინოს კრედიტების განაწილების სისტემის გადახედვა. სასწავლო კურსების ფარგლებში მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობის მეტი სიზუსტით განსაზღვრა უსდ-ს მისცემს საშუალებას პროგრამაში ჩართოს ის სასწავლო კურსები, რომლეთა შესწავლაც აუცილებელია საბანკო საქმეში ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური ხარისხის მქონე პირთათვის;
- გადაიხედოს და მეტი სიზუსტით შეირჩეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა;
- უსდ-მ მეტი ყურადღება დაუთმოს სტუდენტთა მიერ სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის ხარისხს და გამოყენებულ კვლევის მეთოდებს;
- უსდ-ს მიერ სასწავლო პრაქტიკის ობიექტები შეირჩეს იმ ნიშნით, რომ მათ უზრუნველყონ როგორც პრაქტიკის, ისე მთლიანობაში პროგრამის მიზნების მიღწევის ხელშეწყობა;
- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პროგრამის შინაარსთან ბმაში მყოფი დარგის ექსპერტების მოწვევა საჯარო ლექციების, ვორქშოპებისა და ტრენინგების ჩატარების მიზნით;
- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერული განვითარებისა და დასაქმების მიმართულებით მხარდაჭერის გაძლიერება;

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სასურველია დაწესებულება მეტი ყურადღებით მოეკიდოს სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი აბიტიურიენტების მიერ უცხო ენის ცოდნის შემოწმებას, რათა რეალურად იყოს უზრუნველყოფილი სტუდენტთა მიერ უცხო ენის B2 დონეზე ცოდნა;
  - სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობის დროს სტუდენტთა ხელშეწყობის მიზნით სასურველია უსდ-მ მოახდინოს მონაცემების დამუშავებისა და ანალიზისათვის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა (SPSS ან STATA);
  - სასურველია დაწესებულებამ გააძლიეროს ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი და სტუდენტებს შესთავაზოს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

**განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სამაგისტრო პროგრამაში აკრედიტაციის მინიჭების შემდეგ განიცდიდა ცვლილებებს. კერძოდ:

2013-2014 სასწავლო წელს განხორციელდა ცვლილება და სწვლების ენა ფორმულირდა შემდეგნაირად: საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების ენაა ქართული (ინგლისური ან/და რუსულენოვანი კომპონენტებით). თარგმანის სახით სილაბუსში მითითებული რუსული და ინგლისურეოვანი ლიტერატურა, მიეთითა ორიგინალის ენაზეც;

2014-2015 სასწავლო წელს განხორცილებული ცვლილებებით:

1. ამოღებულ იქნა სამაგისტრო-სასემინარო ნაშრომი და მისი კრედიტები (10 კრედიტი) გადანაწილდა სავალდებულო დისციპლინების შესწავლაზე. (მონეტარული პოლიტიკა და ფინანსური რისკები და სადაზღვევო ბაზარი);

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების ენა ფორმულირდა შემდეგნაირად - ქართული (ინგლისური ან/და რუსულენოვანი კომპონენტებით);

3. პროგრამზე მიღების დამატებითი პირობა ფორმულირდა შემდეგნაირად - უცხო ენის შესაბამის (B2) დონეზე ცოდნის დადასტურება სერტიფიკატით ან გამოცდით;

4. სასწავლო კურსი „კომერციული ბანკების ფინანსები“გადატანილი იქნა პირველი სასწავლო წლის მეორე სემესტრში, ხოლო საგანი ,,საბანკო-სავალუტო ოპერაციები'', რომელიც სასწავლო გეგმით გათვალსწინებულია პირველი კურსის მეორე სემესტრში გადატანილი იქნა მეორე კურსის პირველ სემესტრში;

5. შეიცვალა სამაგისტრო ნაშრომისა და პროფესიული პრაქტიკის სილაბუსში მოცემული შეფასებების კრიტერიუმები;

6. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ერთ–ერთ მთავარ წინაპირობად განისაზღვრა სასწავლო კურსი „კვლევის თანამედროვე მეთოდები'';

7. ლექციებსა და სწავლის შედეგების შეფასების პროცესში ამაღლდა მულტიმედია საშუალებების და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების დონე.

2015-2016 სასწავლო წელს უმნიშვნელო ცვლილებები შევიდა პრიგრამაში.

2016-2017 სასწავლო წელს კი პროგრამამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილება. კერძოდ, კვლევითი და პრაქტიკული კომპეტენციების გაღრმავების მიზნით სამაგისტრო ნაშრომის კრედიტების მოცულობა განისაზღვრა 30 კრედიტით, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა განისაზღვრა მინიმუმ 50 გვერდის მოცულობით. სასწავლო კურსების კრედიტების შესაბამისი სტუდენტის საათობრივი დატვირთვის გაანგარიშებამ განაპირობა სასწავლო კურსების კრედიტების კორექტირება („ფინანსური რისკები და სადაზღვევო ბაზარი“ და „მონეტარული პოლიტიკა“ სასწავლო კურსების კრედიტები 10-დან 5 კრედიტამდე შემცირდა).

2017-2018 სასწავლო წელს პროგრამამ განიცადა ცვლილებები უკვე აკრედიტაციის ახალი სტანდარტებიდან გამომდინარე. კერძოდ, პროგრამის მიზნები გაიწერა კომპეტენციებით, პროგრამას დაემატა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, სასწავლო კურსების სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის მიზნით პროგრამას დაემატა კურიკულუმის რუკა (საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა), რომელიც თვალსაჩინოდ აღწერს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობას პროგრამის ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით აღწერილ სწავლის შედეგებთან.

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია ნათლად, ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა და შეესაბამება შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, ფასეულობებს, მიზნებსა და ამოცანებს, ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს და საერთაშორისო ტენდენციებს. ინტერნაციონალიზაციის კუთხით პროგრამის ძირითადი ორიენტირია ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან თავსებადი სტანდარტისა და შესადარი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის აკადემიური მობილობის პირობების უზრუნველყოფა; თანამედროვე სწავლების ტექნოლოგიების, ლიტერატურის დანერგვა-გამოყენება; სტუდენტთა დამატებითი განათლებისა და პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის გამოცდილი მეცნიერებისა და ექსპერტების მოწვევა, მასტერ-კლასების, ტრეინინგების, სემინარების ორგანიზება. თანამშრომლობა პარტნიორ უნივერსიტეტებთან. უნივერსიტეტი თანამშრომლობს ინჰოლანდის უნივერსიტეტის ჰარლემის ეკონომიკის სკოლასთან (ნიდერლანდები), ვენდსპლისის (ლატვია) უნივერსიტეტთან საიდანც რეგულარულად ჩამოდიან პროფესორები და ატარებენ საჯარო ლექციებს და მასტერკლასებს სტუდენტებისათვის. ასევე უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი აქტიურ მონაწილეობას იღებს ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებში.<br>პროგრამის მიზნები მეტწილად რეალისტურია და მიღწევადი. პროგრამას ჰყავს სტუდენტების მცირე რაოდენობა. ბოლო ორი წლის მიღება ჯამში არის 11 სტუდენტი. ამასთან, მიღების დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდება 2014 წლიდან. შესაბამისად, დაბალი ფინანსური შემოსავლებით და აქედან გამომდინარე პროგრამის არსებული ბიუჯეტით საკმაოდ რთული იქნება პროგრამით განსაზღვრული მიზნების რეალიზაცია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ უნივერსიტეტის და ბიზნესისა და სოციალური მემცნიერებების ფაკულტეტის მისიები;<br>○ უნივერსიტეტის და ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმები; |

- უნივერსიტეტის შინაგანაწესი;
- შრომის ბაზრისა კვლევა;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმი;
- გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდით: www.gtuni.edu.ge

**რეკომენდაციები:**

- პროგრამის მიზნების რეალიზაციისათვის აუცილებელია დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზაცია ან ისეთი მარკეტინგული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც გაზრდის სასწავლებლის ცნობადობას და გამოიწვევს სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდას.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;

- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, რეალისტური და აღწერს იმ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციას, რომელსაც მაგისტრი იძენს პროგრამის დასრულებისას. სწავლის შედეგები მეტწილად შეესაბამება ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის საბანკო საქმეში შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ იმას, რომ პროგრამა ძირითადად არის ორიენტირებული საბანკო სფეროზე და ამ სფერისთვის კვალიფიციური კადრების მომზადებაზე. თუმცა პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია არის „ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი საბანკო საქმეში – Master of Busiuness Administration in Banking". შესაბამისად, პროგრამის სწავლის შდეგები უნდა მოიცავდნენ არა მხოლოდ საბანკო სფეროს არამედ ბიზნესის ადმინისტრირების და მენეჯმენტის ძირითად სფეროებსაც. ბიზნესის ადმინსიტრირების მაგისტრის კვალიფიკაციის მიმნიჭებელმა სგანმანათლებლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ბიზნესისა და მენეჯმენტის ფართო, ანალიტიკური და ინტეგრირებული სწავლება. კურსდამთავრებულებმა უნდა შეძლონ რელევანტური ცოდნის და გაგების დემონსტრირება **ორგანიზაციების, გარე გარემოს,** რომელშიც ფუნქციონირებენ ეს ორგანიზაცეიბი და იმის შესახებ, თუ როგორ **იმართებიან** (მენეჯმენტი) ეს ორგანიზაციები.

პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დადგენა, ხდება აკადემიური მოსწრფების ანალიზით, რაც საჭიროებს პროგრამის და სილაბუსის დონეზე მონაცემების დამუშავებას და პროცენტული განაწილების დინამიკის შესწავლას.

აკადემიური მოსწრების ანალიზით დგინდება, რამდენად რთული ან მარტივია სასწავლო კურსის პროგრამა, რამდენად მართებულადაა შერჩეული შესასწავლი თემები, შეფასების რამდენად ადეკვატური ფორმებია გამოყენებული ლექტორების მიერ და რამდენად მაღალია მაგისტრანტთა მომზადების დონე. აკადემიური მოსწრების ანალიზისთვის დაწესებულება მიმართვას ერთ-ერთ ყველაზე ხშირად გამოყენებად და ფართოდ გავრცელებული მიდგომას, ნორმალურ განაწილებას („გაუსის" განაწილებას), რაც ნიშნავს, რომ დამოუკიდებელი და ერთნაირად განაწილებული გარკვეული ტიპის შემთხვევითი სიდიდეების საშუალო არითმეტიკული მიისწრაფის სტანდარტული ნორმალური განაწილებისკენ, პრაქტიკულად კი ეს ნიშნავს, რომ იმ აკადემიური მოსწრების განაწილება, რომლებზეც ბევრი დაახლოებით ერთნაირი ფაქტორი მოქმედებს, შეიძლება ჩაითვალოს სტანდარტულ ნორმალურ განაწილებად. აღნიშნულის საფუძველზე სტანდარტული ნორმალური განაწილების დიაპაზონებია:

10% „A" - ფრიადი

25% "B"- ძალიან კარგი

30% "C" -კარგი

25% "D" -დამაკმაყოფილებელი

რანჟირების სკალის მიხედვით, სტუდენტთა ძირითად მასას საშუალო მოსწრება უნდა ჰქონდეს, ძალიან მაღალი და დაბალი ნიშნები კი – სტუდენტთა შესაბამისად 10–10%–ს. აღნიშნული დიაპაზონიდან 20%-იანი გადახრის შემთხვევაში გადაიხედება სწავლის შედეგები და მისი მიღწევის გზები. სასწავლო პროცესის და სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების მიზნით უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

| |
|---|
| ○ საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.<br>○ უნივერსიტეტის და ბიზნესისა და სოციალური მემცნიერებების ფაკულტეტის მისიები.<br>○ უნივერსიტეტის და ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმები.<br>○ უნივერსიტეტის შინაგანაწესი.<br>○ შრომის ბაზრისა კვლევა.<br>○ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმი<br>○ გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდით: www.gtuni.edu.ge |
| **რეკომენდაციები:**<br><br>პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ბიზნესისა და მენეჯმენტის ფართო, ანალიტიკური და ინტეგრირებული სწავლება. კურსდამთავრებულებმა უნდა შეძლონ რელევანტური ცოდნის და გაგების დემონსტრირება ზოგადად **ორგანიზაციების (არა მხოლოდ ბანკების), გარე გარემოს,** რომელშიც ფუნქციონირებენ ეს ორგანიზაციები და იმის შესახებ, თუ როგორ **იმართებიან** (მენეჯმენტი) ეს ორგანიზაციები. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | ✓ | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამაზე საქართველოს მოქალაქეებისთვის დაშვების აუცილებელი პირობაა მსურველის მიერ საერთო სამაგისტრო გამოცდის და სპეციალობაში შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება და B2 დონეზე უცხო ენის ცოდნის დადასტურება დადგენილი სერტიფიკატით ან გამოცდით. დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც მიღწევადს ხდის სწავლის შედეგებს. თუმცა ინტერვიუს დროს სტუდენტთა გარკვეულმა ნაწილმა უცხო ენის B2 დონეზე ცოდნა ვერ დაადასტურეს.<br>უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე.<br>პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს აგრეთვე შიდა მობილობით უსდ-ის სხვა ფაკულტეტის ან გარე მობილობის საფუძველზე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტმა, საქართველოს კანონმდებლობის და გთუნი-ს სასწავლო პროცესის მარეგულირების წესის მოთხოვნათა შესაბამისად.<br>ინფორმაცია პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობის, პროგრამის მიზნების, შედეგების, შეფასების სისტემის შესახებ საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალე და სამართლიანია.<br>სწავლის მსურველთა უკეთ ინფორმირების მიზნით ყოველწლიურად ტარდება ღია კარის დღეები, იბეჭდება ფლაიერები, სტუდენტებისთვის ეწყობა პრეზენტაციები და ტარდება სხვადასხვა სარკლამო ღონისძიებები. სტუდენტებისა და მობილობით სარგებლობის |

| |
|---|
| მსურველთათვის უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსებულია შესაბამისი სრულყოფილი ინფორმაცია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>1. უსდ-ის საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამა<br>2. უსდ-ის საბანკო საქმის თვითშეფასების დოკუმენტი<br>3. უსდ-ის ვებგვერდით: www.gtuni.edu.ge<br>4. ინტერვიუ საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>სასწავლო დაწესებულება მეტი ყურადღებით მოეკიდოს სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი აბიტიურიენტების მიერ უცხო ენის ცოდნის შემოწმებას, რათა რეალურად იყოს უზრუნველყოფილი სტუდენტთა მიერ უცხო ენის B2 დონეზე ცოდნა. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი |

ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სწავლების ხარისხის განვითარების ძირითადი ასპექტები, რომელიც ეფუძნება ციკლს --"დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე". მეთოდოლოგიაში აღწერილია ასევე საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების და პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესი.

საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სწავლება მიმდინარეობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS-ის) ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესი ეფუძნება მოდულების მიხედვით სწავლების პრინციპებს.

საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი საბანკო საქმეში 120 ECTS კრედიტის დაგროვების შემდეგ, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:

- საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის საბაზისო კურსების მოდული ითვალისწინებს 24 კრედიტს (12 სავალდებულოა და 12 არჩევითი კრედიტი).
- სპეციალობის სასწავლო მოდული ითვალისწინებს 54 კრედიტს ( სავალდებულო 36კრედიტი, აჩევითი 18 კრედიტი)
- კვლევითი მოდული 42 კრედიტია (პროფესიული პრაქტიკა 12 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტი).

საბაზისო და სპეციალობის სასწავლო კურსები ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული ცოდნა-გაცნობიერებისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ფარგლებში გაწერილი ცოდნისა და უნარების სტუდენტისთვის გადაცემაზე. აღნიშნული სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტი იძენს სწავლისა და დასკვნის უნარებისთვის, ღირებულებების ფორმირებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია სწავლის შედეგებთან. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. თუმცა, პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის მიმართ გვაქვს გარკვეული შენიშვნები:

პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე ზოგიერთი არჩევითი სასწავლო კურსის შეთავაზება უნდა ხდებოდეს სავალდებულო კურსების კომპონენტში, ზოგიერთი სავალდებულო კურსის კი პირიქით. კერძოდ:

- მონეტარული პოლიტიკა და საბანკო საქმის სამართლებრივი რეგულირება სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებიდან გადატანილი უნდა იქნას სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებში.
- მენეჯერული ეკონომიკა სპეციალობის საბაზისო არჩევითი კურსების კომპონენტიდან გადავიდეს სპეციალობის საბაზისო სავალდებულო კურსების კომპონენტში.

| |
|---|
| - საერთაშორისო საფინანსო და ეკონომიკური ორგანიზაციები სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტიდან გადავიდეს სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსების კომპონენტში.<br>- სასწავლო კურსის „ფინანსური რისკები და სადაზღვევი ბაზარი“ ნაცვლად უნდა მოხდეს ფინანსური რისკების მართვის სწავლება, სადაც აქცენტი გაკეთებული იქნება საბანკო-საკრედიტო რისკების მართვაზე.<br>- სასურველია პროგრამაში, თუნდაც არჩევით კომპონენტში, შეტანილი იქნას სასწავლო კურსი „პერსონალის სტრატეგიული მართვა“.<br>სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები საჭიროებს გადახედვას. კერძოდ, სასწავლო კურსების უმეტესობა დაშვების წინაპირობების გარეშეა, ზოგიერთ კურსს კი წინაპირობა არასწორად აქვს მითითებული. მაგ. „საბაკო-სავალუტო ოპერაციებს“ დაშვების წინაპირობად აქვს არა „საბანკო საქმე“, არამედ „გლობალური ბიზნესი“ მითითებული. სამაგისტრო ნაშრმის მომზადება/დაცვას პროგრამაში წინაპირობა არ აქვს მითითებული, სილაბუსით კი დაშვების წინაპირობას „საბანკო საქმე“ წარმოადგენს, თუმცა ასევე უნდა იყოს წინაპირობად მითითებული „ბიზნესის კვლევს მეთოდები“.<br>ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის ფარგლებში მომზადებული და დაცული სამაგისტრო ნაშრომების გადახედვის შედეგად გამოიკვეთა, რომ სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა ზოგ შემთხვევაში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან თანხვედრაში არ არის. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br>○ საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა<br>○ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;<br>○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;<br>○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსებთან;<br>○ ინტრევიუ დაინტერესებულ მხარეებთან (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები);<br>○ პროგრამის ფარგლებში დაცული სამაგისტრო ნაშრომები |
| რეკომენდაციები:<br>○ საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების მისაღწევად აუცილებელია პროგრამის სტრუქტურაში (სავალდებულო და აჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტებში) განხორციელდეს ცვლილებები:<br>- მონეტარული პოლიტიკა და საბანკო საქმის სამართლებრივი რეგულირება სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებიდან გადატანილი უნდა იქნას სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებში.<br>- მენეჯერული ეკონომიკა სპეციალობის საბაზისო არჩევითი კურსების კომპონენტიდან გადავიდეს სპეციალობის საბაზისო სავალდებულო კურსების კომპონენტში.<br>- საერთაშორისო საფინანსო და ეკონომიკური ორგანიზაციები სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტიდან გადავიდეს სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსების კომპონენტში. |

- სასწავლო კურსის „ფინანსური რისკები და სადაზღვევი ბაზარი“ ნაცვლად უნდა მოხდეს ფინანსური რისკების მართვის სწავლება, სადაც აქცენტი გაკეთებული იქნება საბანკო-საკრედიტო რისკების მართვაზე.
- პროგრამის სავალდებულო სასეწავლო კურსებს უნდა დაემატოს სასწავლო კურსი „პერსონალის სტრატეგიული მართვა“.

- უსდ-მ უზრუნველყოს სამაგისტრო ნაშრომების ისეთი თემატიკის შერჩევა, რომელიც სრულ თანხვედრაში იქნება პროგრამის ფარგლებში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;
- სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები საჭიროებს გადახედვას: „საბაკო-სავალუტო ოპერაციები“ დაშვების წინაპირობა უნდა იყოს „საბანკო საქმე“ და არა „გლობალური ბიზნესი“. სამაგისტრო ნაშრმის მომზადება/დაცვას პროგრამაში წინაპირობა არ აქვს მითითებული, სილაბუსით კი დაშვების წინაპირობას „საბანკო საქმე“ წარმოადგენს, თუმცა ასევე უნდა იყოს წინაპირობად მითითებული „ბიზნესის კვლევს მეთოდები“.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

| |
|---|
| ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>როგორც უკვე აღვნიშნეთ საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს. აქედან სპეციალობის სასწავლო კურსებისათვის გამოყოფილია 54 კრედიტი. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში. სილაბუსებში მოცემული კომპონენტები იმყოფებიან ერთმანეთთან ლოგიკურ ბმაში, რაც მთლიანობაში შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და დამხამრე მასალები უმეტეს შემთხვევაში დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა:<br>გადასახედია კრედიტების განაწილების სისტემა. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული 17 სასწავლო კურსიდან 15 კურსი 6 კრედიტიანია და 2 კურსიც - 9 კრედიტიანი. რაც ბადებს ეჭვს, რომ ეს არის კრედიტებთან დაკავშირებული საუნივერსიტეტო პოლიტიკა. უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელთა მტკიცებით კრედიტების მინიჭების საკითხს წყვეტენ კურსის წამყვანი და პროგრამის ხელმძღვანელი სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით. მათივე მტკიცებით უსდ-ს შემუშავებული აქვს კრედიტების დასაბუთების ფორმა. სტუდენტი ყველა საგანზე ავსებს, თუ რა დრო სჭირდება მას საგნის მოსამზადებლად და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით მიიღება გადაწყვეტილება. თუმცა სტუდენტებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ დატვირთის თვალსაზრისით 9 და 6 კრედიტიან საგნებს შორის განსხვავებას ვერ ხედავენ. ვფიქრობთ, პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების კრედიტების გადახედვის ხარჯზე შესაძლებელია პროგრამის როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი საგნების კომპონენტის გაძლიერება.<br><br>სასწავლო კურსების ნაწილში გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა საჭიროებს გადხედვასა და განახლებას. მაგალითად, გაუგებარია საწავლო კურსში „მონეტარულ პოლიტიკა“ რატომ არის ძირითად ლიტერატურად ბლანშარის მაკროეკონომიკა მითითებული. 3 სასწავლო კურსს - საბანკო საქმე, საბანკო-სავალუტო ოპერაციები და კომერციული ბანკების ფინანსები, აქვს ძირითად ლიტერატურად ერთიდაიგივე სახელმძღვანელო მითითებული - ი. კოვზანაძე, გ. კონტრიძე, - „თანამედროვე საბანკო საქმე“. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საბანკო საქმნის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ სასწავლო კურსის სილაბუსები;<br>○ გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.<br>○ გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან. |
| **რეკომენდაციები:** |

| |
|---|
| ○ უსდ-მ მოახდინოს კრედიტების განაწილების სისტემის გადახედვა. სასწავლო კურსების ფარგლებში მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობის მეტი სიზუსტით განსაზღვრა უსდ-ს მისცემს საშუალებას პროგრამაში ჩართოს ის სასწავლო კურსები, რომლეთა შესწავლაც აუცილებელია საბანკო საქმეში ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური ხარისხის მქონე პირთათვის.<br>○ გადაიხედოს და მეტი სიზუსტით შეირჩეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები ჩართულნი არიან ადგილობრივ კვლევით პროექტებში. კერძოდ, სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ინტერესების მიხედვით მონაწილეობა მიიღონ უსდ-ში გამართულ ყოველწლიურ კონფერენციებში, სტუდენტთა დასაქმების ფორუმებში, სხვადასხვა კონკურსებში. სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ აგრეთვე სხვა სასწავლებლებისა და ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ |

სამეცნიერო კონფერენციებში. შეუძლიათ წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები პროექტების სახით, მოახდინონ მათი საჯარო დაცვა. გარდა ამისა, საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთი მნიშნელოვანი კვლევითი კომპონენტია პროფესიული პრაქტიკა და სამაგისტრო ნაშრომის მომზადება/დაცვა.

პროფესიული პრაქტიკის სილაბუსის თანახმად მისი მიზანია:

- სტუდენტ მაგისტრანტის მიერ საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებული მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცება;
- საბანკო ურთიერთობათა მრავალმხრივ რეალურ სამუშაო გარემოში ცოდნის თეორიული და პრაქტიკული აპექტების შერწყმა და დამოუკიდებელი მუშაობის გამოცდილების მიღება;
- საბანკო-საფინანსო სექტორში პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი კომპეტენციების განვითარება;
- ახალ, გაუთვალისწინებელ სიტუაციურ და მულტიდისციპლინურ გარემოში დამოუკიდებლად მოქმედების უნარის ჩამოყალიბება;
- მომავალი წარმატებული საქმიანობისათვის საბანკო-საფინანსო მომსახურეობის ფორმების და სახეების შესახებ უახლესი ინფორმაციის, მოწინავე გამოცდილების გაზიარების და ცოდნის მუდმივი განახლების აუცილებლობის გაცნობიერება;
- სტუდენტ მაგისტრანტის დაკავშირება დამსაქმებელთან მისი ცოდნის წარმოჩენის და თვითპრეზენტაციის, ასევე შემდგომი შესაძლო დასაქმების შესაძლებლობის ხელშეწყობის მიზნით.

და მაგისტრანტები პრაქტიკას გაივლიან საფინანსო-საბანკო სექტორის სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო (საქართველოს ბანკების ასოციაცია, კომერციული ბანკები, საქართველოს საპარტნიორო ფონდი, აუდიტორულ კომპანიებში, მიკროსაფინანსო და სხვა ორგანიზაციებში, რომლებიც მოქმედებენ საქართველოს საფინანსო სექტორში, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. პრაქტიკა შეიძლება განხორციელდეს იმ ორგანიზაციებშიც, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ან/და ოფიციალურად ადასტურებს კონკრეტული მაგისტანტისათვის პრაქტიკის გავლისათვის მზადყოფნას, ან მაგისტრანტის სამუშაო ადგილის მიხედვით თუ იგი აკმაყოფილებს და შესაბამება სამაგისტრო პროგრამის სპეციალობის მოთხოვნებს.

თუმცა უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით და ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ უსდ-ს მემორანდუმები ბანკების ასოციაციის გარდა გაფომებული აქვს და სტუდენტები პრაქტიკას გადიან მხოლოდ რამოდენიმე აუდიტორულ კომპანიაში, რომლებსაც ბანკებში აუდიტორული შემოწმების ჩატარების ლიცენზია არ აქვთ, რაც არ არის თანხვედრაში პროგრამის ფარგლებში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და ასევე ეწინააღმდეგება სილაბუსით გათვალისწინებულ პრაქტიკის მიზნებს.

რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის შესრულება/დაცვას, იგი ხორციელდება უსდ-ში დამტკიცებული სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის და სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის მიხედვით, რომლებშიც გაწერილია სამაგისტრო ნაშრომის მიზანი, შედეგები, მეთოდები, სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევის, ხელმძღვანელისა და რეცენზენტის გამოყოფის პროცესი, სამაგისტრო ნაშრომის არქიტექტონიკა და გაფორმების წესი. სამაგისტრო ნაშრომის დაცვისა და შეფასების მექანიზმი.

სილაბუსის თანახმად სტუდენტმა სამაგისტრო ნაშრომში უნდა გამოავლინოს კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი, მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, თუმცა პროგრამის

| |
|---|
| ფარგლებში დაცული სამაგისტრო ნაშრომების გადახედვის შედეგად გაირკვა, რომ პრაქტიკულად არცერთ ნაშრომში არ არის მითითებული გამოყენებული კვლევის მეთოდების შესახებ და ნაშრომების კვლევითი კომპონენტები საკმაოდ სუსტად გამოიყურება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ სტუდენტებთან და კურსდამათავრებულებთან ურთიერთობის განყოფილება<br>○ სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი<br>○ მემორანდუმები/ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან/დამსაქმებლებთან;<br>○ ინტრევიუ სტუდენტებთან<br>○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან<br>○ პროგრამის ფარგლებში დაცული სამაგისტრო ნაშრომები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ უსდ-მ მეტი ყურადღება დაუთმოს სტუდენტთა მიერ სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის ხარისხს და გამოყენებულ კვლევის მეთოდებს;<br>○ უსდ-ს მიერ სასწავლო პრაქტიკის ობიექტები შეირჩეს იმ ნიშნით, რომ მათ უზრუნველყონ როგორც პრაქტიკის, ისე მთლიანობაში პროგრამის მიზნების მიღწევის ხელშეწყობა; |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☒ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| |

| 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები |
|---|
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის აკადემიური პესონალის მიერ სტუდენტისთვის ცოდნის გადაცემა წარმოებს მეთოდებით: ლექცია/სემინარი, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა.<br>სწავლების შედეგების მიღწევისთვის, პროფესორის შეხედულებისამებრ და სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე, იყენებს ისეთ მეთოდებს და აქტივობები, როგორიცაა: დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვა. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები და აქტივობები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.<br>სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მეთოდების და სწავლების მეთოდოლოგიის გამოყენებით და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სწავლებისთვის საჭირო საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამა;<br>○ სასწავლო კურსის სილაბუსები;<br>○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;<br>○ ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;<br>○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

